ამბროლაურის მოამბე

№4 (9887) ◆ აპრილი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

24 აპრილს აღინიშნა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ქრისტე აღდგა!

შემოთავაზებული იდეა მისაღებია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ღვინის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე **ზურაბ ვაჭარაძე**, ანალიზისა და ნორმატივების სამმართველოს უფროსი **ედუარდ ლეკიშვილი**, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან **პაპუნა მარგველიძესთან**, რწმუნებულის მოადგილესთან **ლაშა ჭიჭინაძესთან**, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელთან **ქრისტინე კობახიძესთან**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ადგილობრივ მევენახეებს და მეღვინეებს შეხვდნენ.

შესთავაზეს იდეა, რომელიც ითვალისწინებს ადგილწარმოშობის პირობების გათვალისწინებით დამზადდეს ახალი მშრალი ღვინო **„რაჭა“**, რომლის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია შეიქმნას ასოციაცია, სადაც გაერთიანდებიან მეღვინეები და ფერმერები, რომლებიც განახორციელებენ ადგილწარმოშობის ღვინის „რაჭა“ დაცვას.

სააგენტოს წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ რაჭის რეგიონი მდიდარია უნიკალური პროდუქციით, რაც საჭიროებს კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას, ახალი ღვინის დამზადება კი, კიდევ უფრო მეტად გაზრდის ინტერესს და მოთხოვნას რაჭულ ღვინოებზე.

სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს სხვადასხვა ტექნიკური და საკანონმდებლო საკითხებიც გააცვნეს. ითქვა ისიც, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ამბროლაურში, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალი იგეგმება, რომლის ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის საწარმოებისა და მცირე მარნების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი პროდუქცია შესთავაზონ ფესტივალზე მოწვეულ ევროპელ იმპორტიორებსა და ქართველ ექსპორტიორებს, რომლებიც რეგიონის ღვინის პოპულარიზაციით არიან დაინტერესებულნი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** ხელმძღვანელობდა. ძირითადი ყურადღება დაეთმო ქალაქის მოწესრიგებას, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების დასუფთავებას, სასაფლაოებთან მისასვლელი გზების გაწმენდით სამუშაოებს და ამ დროისთვის არსებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სამუშაო შეხვედრაზე, სამსახურების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს დეტალური ინფორმაციები მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. ითქვა, რომ აქტიური სამუშაოები იწყება როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ, ისე სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე,სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში არსებული პროგრამების ფარგლებშიც მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 350-ზე მეტ მოქალაქეს უკვე გაეწია საჭირო დახმარება.

საუბარი შეეხო აგრეთვე საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციის, სოფლებში ტრასნპორტის მოძრაობის გრაფიკს, კულტურული ღონისძიებების ეტაპობრივ გააქტიურებასა და ახალგაზრდების საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ინიციატივების განხორციელებას.

მერმა, სამსახურების ხელმძღვანელებს კონკრეტული დავალებები მისცა და პრობლემურ საკითხებზე დროული რეაგირებისკენ მოუწოდა.

პრიორიტეტების დოკუმენტი – საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში, „პრიორიტეტის დოკუმენტზე“ მუშაობის ფარგლებში, მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე უძღვებოდა და სამუშაო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ. ძირითადი პრიორიტეტები განისაზღვრება ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, რომელიც სამოქმედო გეგმაში ისახება და შემდგომი წლების მანძილზე ხორციელდება.

„პრიორიტეტის დოკუმენტზე“ მომუშავე ჯგუფის შეხვედრები პერიოდულად ასევე იმართება საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და შეხვედრის ფარგლებში დეტალურად მიმდინარეობს იმ პროგრამებისა და აქტივობების განხილვა, რომლის განხორციელებასაც კონკრეტული ორგანიზაცია სამომავლოდ აპირებს.

ინტეგრირებული ინიციატივა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულმა სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ ონლაინ პლატფორმის საშუალებით განხორციელებულ მორიგ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი მაქარაშვილი, რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ლევან ცხვედიანი, მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები, მერები და მათი მოადგილეები, მოწონებულ იქნა, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი პროექტები. მათ შორის ქ. ამბროლაურში, რეგიონული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის გაზრდის მიზნით, მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოში რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ემყარება ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკას. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ტერიტორიული განვითარების ინტეგრირებული ინიციატივების განხორციელების გზით.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, სხვადასხვა საჭიროების მქონე 73 ოჯახს სასურსათე პაკეტები გადაეცა.

საჩუქრები ბენეფიციარებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** და საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძემ**, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გადასცეს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები ხორციელდება, რომლებიც ამბროლაურში მცხოვრები ოჯახების ხელშეწყობასა და სხვადასხვა შეღავათით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

ჭეშმარიტად აღდგა!

ნომრიდან ნომრამდე

ქვეყანაში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით **„აწარმოე საქართველოში“** ბიზნესიდეების მიღება-განხორციელებასთან დაკავშირებით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან (ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი) ადგილობრივი მეწარმეები და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. პროექტის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მეწარმეებს გააცნო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა **მიხეილ ხიდურელმა** და მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

საინფორმაციო შეხვედრას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეშისახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე,** მერი **ზვიად მხეიძე**, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ქრისტინე კობახიძე**.

„პროგრამა მიზნად ისახავს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მინდა მოვუწოდო ჩვენი მხარის მოსახლეობას მაქსიმალურად ჩაერთონ აღნიშნულ პროგრამაში და გამოიყენონ შესაძლებლობა განავითარონ თავიანთი საქმიანობები“ – განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

* * *

სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** ეროვნული სატყეო სააგენტოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელთან – **დავით დამენიასთან** საინფორმაციო სახის შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გამართა.

შეხვედრის მთავარ მიზანს სატყეო რეფორმისა და „ტყის ახალი კოდექსით“ გათვალისწინებული ცვილებების დეტალური განხილვა წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ახალი კოდექსით სრულად გაუქმდა ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიები და „სოციალური ჭრის“ პრაქტიკა.

განხორციელდა ქვეყანაში მდგრადი სატყეო მეურნეობის მართვის მოდელის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, ე.წ „საქმიანი ეზო“ მოეწყო. ხე-ტყის დამზადება ხდება ტყის მართვის ორგანოს მიერ, მოსახლეობას კი აქვს შესაძლებლობა როგორც საშეშე, ასევე სამასალე მერქანი „საქმიან ეზოში“ წლის ნებისმიერ პერიოდში შეიძინოს. შედეგად, მერქნული რესურსის დამზადების მიზნით ტყეთსარგებლობა ხორციელდება გაცილებით ეფექტიანად, მცირდება ტყეზე უარყოფითი გავლენა, ასევე, მნიშვნელოვნად მცირდება უკანონო ჭრების რისკები.

ტყის ახალი კოდექსის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ტყის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, აგრეთვე, ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად. ტყის მართვის საფუძველი ტყის კოდექსში მოცემული ძირითადი პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტებია.

შეხვედრაში მხარის მასშტაბით მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და შესაბამისის სამსახურის წარმომადგენლები.

ინფორმაცია

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-10 მორიგმა სხდომამ მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა, ანგარიში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მოიწონა განკარგულება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“-ს ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტი.

განიხილა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2021 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ და დაამტკიცა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-11 რიგგარეშე სხდომამ ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №12, №18, 2021 წლის №19, №24 დადგენილებებში, 2017 წლის №21, 2021 წლის №99, 2018 წლის №24 და №25 განკარგულებებში.

დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022–2023 წლების სამოქმედო გეგმა, შექმნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი და განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მე-2 მოწვევის საკრებულოს მე-12 მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, მოისმინა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების შედეგები და იმსჯელა მერის მიერ ინიცირებულ და სხვადასხვა საკითხებზე.

დიალიზის თერაპია ხელმისაწვდომი ხდება

ვფიქრობთ, საზოგადოებას არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირების, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს სერიოზულ სოციალურ და სამედიცინო პროგრამებს შესატყვისი ქვეპროგრამებით. მტკიცებულებად რედაქციაში შემოსული იმ სამადლობელი წერილების სიმრავლე მეტყველებს, რომელთა ავტორები არიან ის პირები, რომლებმაც ისარგებლეს სოციალური თუ სამედიცინო ქვეპროგრამებით.

მიმდინარე წელს მუშაობს 16 სოციალური დაცვისა და 5 სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა. სოციალური დაცვის პროგრამის ერთერთი ქვეპროგრამაა „დიალიზი და თირკმელის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება.ქვეპროგრამით ფინანსდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირი,რომელსაც ავადობის დიაგნოზით დაენიშნა დიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურება და მის ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი იმ ქალაქში, სადაც სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით „დიალიზი და თირკმელის ტრანსპლანტაცია“. მოსარგებლეს მერია აფინანსებს ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობით. სამწუხაროდ, აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლე მუნიციპალიტეტს ჰყავს 17 პირი. რომელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე მსჯელობა ხშირად იყო, როგორც სამხარეო ისე ადგილობრივი ხელმძღვანელი პირების მიერ სხვადასხვა დონეზე, რასაც შედეგი მოჰყვა. ინფორმაციას სოციალური ქსელით მოსახლეობა ალბათ ფლობს, მაგრამ მკითხველს მაინც შევახსენებთ, რომ ქვეყნის 3 მუნიციპალიტეტში (ამბროლაური, მესტია თიანეთი), დიალიზის თერაპია ხელმისაწვდომი გახდება.

ე.ი. ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ვისაც აღნიშნული მომსახურება სჭირდება, მუნიციპალიტეტის სხვა ქალაქებში ჩასვლა აღარ მოუწევთ და სიცოცხლისათვის აუცილებელ სერვისს ადგილზე მიიღებენ. მინისტრის **ზურაბ ზურაბაშვილის** განცხადებით – „პროგრამის მიხედვით, უკვე არსებული სამედიცინო დაწესებულებები დიალიზის თერაპიისთვის საჭირო, თანამედროვე აპარატურით აღიჭურვება და პაციენტებს პროფესიონალი მედპერსონალი მოემსახურება. ქალაქების იდენტიფიცირება კი მთელი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები ბენეფიციარების ინტერესების გათვალისწინებით მოხდა. მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე აღნიშნული სერვისები „დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში იხსნება და ახორციელებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“.

სინათლე იმედია, დიდი იმედი

მიმდინარე წელსაც, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში მოსახლეობამ გარე განათების მოწყობა ირჩია, რამაც ზოგიერთი, „კეთილმოსურნე“, გასული წლების მსგავსად ქილიკის ხასიათზე დააყენა და ირგვლივ მყოფთა გასაგონად იმეორებდნენ ერთსა და იმავეს: სოფლებში ხალხი აღარაა და ვის უნათებენ, მგლებს? რაში ხარჯავენ ფულს, არ ჯობია სხვა რამე აკეთონ... მსგავსი „ბრძნული აზრები“ კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ, საწყენია, მხოლოდ ის, რომ უნებისყოფონი შემდეგ სხვაგან იმეორებენ და საკადრის პასუხს არ სცემენ.

ამ როლს ამჯერად, ჩვენ – „ამბროლაურის მოამბელები“ ვიკისრებთ.

კარგად მოგვისმინეთ: 2021 წელში მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიების 90 % გარე განათების ქსელით იყო მოცული. მუნიციპალიტეტში 60 სოფელში ანათებდა 4660 სანათი ქ. ამბროლაურში კი 1190 ე.ი. სულ 5850 სანათი. რასაც 2022 წელს კიდევ დაემატება როგორც ახალი, ისე შეკეთებული. სხვათაშორის ჩიხებიც, უბნებიც განათდება.

და იცით რატომ? იმიტომ, რომ ზუსტად იმ მოსახლეობამ, რომლებიც დარაჯად უდგანან და აცოცხლებენ მართლა გათითოკაცებულ, განსაკუთრებით მთიანი ზონის სოფლებს, შეძლოს ღამის საათებში უსაფრთხოდ და თქვენ წარმოიდგინეთ, კომფორტულად გადაადგილება.

გარე განათება დიდი იმედია, დიდი იმედი მათვის, რასაც ნამდვილად იმსახურებენ და ამიტომაც ეძლევათ ამ პროგრამით მათ არჩევის უფლება.

თქვენც ხომ სარგებლობთ გარე განათების სისტემით? ჰოდა გაჩუმდით მაინც.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში გრძელდება საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამა. სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში საპროექტო სამუშაოების პარალელურად, ა(ა)იპ „ოუფენ ნეტის“, სამშენებლო კომპანიებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ამბროლაურის კულტურის ცენტრში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა ოუფენ ნეტის დირექტორი – **მარიამ სულაბერიძე**.

საინფორმაციო შეხვედრას რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა ენუქიძე**, მხარის რწმუნებულთან **პაპუნა მარგველიძესთან** და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდა. ითქვა, რომ ამბროლაური-ონის მიმართულებით უკვე დაწყებულია საპროექტო სამუშაოები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამიზნე გეოგრაფიული არეალებია:

ქალაქი ამბროლაური, სოფლები: ხვანჭკარა, ჭრებალო, ბუგეული, ბოსტანა, ლიხეთი, სადმელი, კვაცხუთი, ძირაგეული, კლდისუბანი, წესი, ურავი, ნიკორწმინდა, მეორე ტოლა, პირველი ტოლა.

შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა და განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტის დაწყებისა და მისი შეუფერხებლად განხორციელებისთვის.

„გაზაფხული დადგა...“

მიუხედავად კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული სირთულეებისა, ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ადამიანებს აძლევინებს შიშს, უუმჯობესდებათ განწყობილება და რაც მთავარია, იღებენ სულიერ საზრდოს. დროულად და სწორად შერჩეულმა ღონისძიებებმა წლებს გაუძლო. ახლაც ტრადიციულად საბიბლიოთეკო სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც შეჯამდა გასული წლის სქმიანობის შედეგები. შეხვედრა ოფიციალური ღონისძიებით დაგვირგვინდა, რომელიც გაზაფხულს, ქალს მიეძღვნა და ერქვა „გაზაფხული დადგაო...“.

საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველებმა ქალაქის მე-2 საჯარო სკოლიდან **ანასტასია კერვალიშვილმა, ლაზარე რატიანმა** და **ლადო კობახიძემ** ქალბატონებს ორიგინალურად მიულოცეს გაზაფხულის დადგომა.

შეხვედრის დასასრულს წლის წარმატებულ თანამშრომლებს პატარაონის ბიბლიოთეკარს **როდამი გიორგობიანს** („ინტელექტუალური ბიბლიოთეკარი“), მთავარი ბიბლიოთეკის წიგნის დაკოპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგეს **მარინა კერვალიშვილს** („გულისხმიერი ბიბლიოთეკარი“) და საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს **გულიზა (თალიკო) ლომთაძეს** – („აქტიური ბიბლიოთეკარი“) კულტურის ცენტრის დირექტორმა **თამაზ დაუშვილმა** გადასცათ სიგელები და სიმბოლური საჩუქრები.

ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის განყოფილებისა და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები საინტერესო გამოვიდა – და იმის წინაპირობაც, რომ მთავარი ბიბლიოთეკა წელსაც თემატური თუ სალონური შეხვედრებით მრავალჯერ უმასპინძლებს წიგნის მოყვარულ საზოგადოებას.

გულნარა სალინაძე

საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროექტი დაიწყო. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

გამოცხადებული ვაკანსიები ძირითადად ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს: ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება, დასუფთავება (სკოლების, ადმინისტრაციული შენობების და სხვა), წყალმომარაგების სერვისების ექსპლოატაციის დროს დამხმარე სამუშაოების განხორციელება, საოფისე სამუშაო, დოკუმენტაციის წარმოებაში დახმარება, მოსაკრებლის ამოღების მიზნით შესაბამისი ქვითრებისა და შეტყობინებების მიტანა, ბავშვთა დასვენების ორგანიზებაში მონაწილეობა, გასართობი ღონისძიებების დროს დახმარება, ტურისტული და სარეინჯერო ბილიკების მოწესრიგება, მონიტორინგი და სხვა.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი ის პირები არიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ შემწეობას.

* * *

ონლაინ ფორმატში რეგიონული არასამთავრობო სექტორისა და მედიის სფეროს წარმომადგენლებთან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ეგიდით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის თემა იყო „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ახალი ფურცელი/განაცხადის შეტანის მნიშვნელობა ისტორიულ კონტექსტში.

შეხვედრა, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების, კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის სამსახურის ხელმძღვანელი დავით ბუჯიაშვილი უძღვებოდა, აღმოჩნდა საინტერესო.

ტყიბულისა და გამარჯვების დღე

ეს 9 აპრილია, რომელსაც 1989 წლიდან მოყოლებული აღნიშნავს ქართველი ერი, როგორც ტრაგიკულ და ამავ დროულად მნიშვნელოვან თარიღს, რადგან ამ დღეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დაღვრილმა სისხლმა განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მომავალი. 33 წელინადია მაშინ დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ქვეყნის მაშტაბითაღმართულ მემორიალებთან თანამემამულენი მათი სულების მოსახსენიებლად ანთებენ სანთლებს, უძღვნიან გვირგვინებს და თავისუფლებისათვის, გმირობისათვის იხდიან მადლობას.

გამონაკლისი არც ამბროლაურის მუნიციპალიტეტია. თანხლებ პირებთან ერთად მემორიალი ყვავილებით შეამკეს და სანთლები აუნთეს გმირებს სახელმწიფოს რწმუნებულის მოადგილემ **ლაშა ჭიჭინაძემ** და მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**.



სრულიად საქართველოში და შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საინტერესო ღონისძიებებით აღინიშნა დედაენის დღე.

დღე, რომელიც 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად, 1990 წლიდან დაწესდა. მაშინ საქართველოს მოსახლეობამ ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლებით წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ.

ქართულ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ეს არის ეროვნული განძი, რომელსაც საფრთხე არასდროს უნდა შეექმნას, ამ განძს, ამ საუნჯეს დღეს განსაკუთრებულად სჭირდება დაცვა და გაფრთხილება. ეს ეროვნული ღირსების საქმეა, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით განათლების სისტემის მუშაკებს, რადგან ძალზე საპატიო მისია ეკისრება მათ აღზრდილ ახალგაზრდობას.

აქცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა – „ოფთალმიჯის“ ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელებული სამედიცინო აქციის ფარგლებში, ოპერაცია მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 27-მა პაციენტმა გაიკეთა. მსურველებს ჩაუტარდათ კატარაქტას ექსტრაქცია და ფაკოემულსიფიკაცია ხელოვნური ბროლით.

ოპერაციები გააკეთა პროფესორმა არსენ შურღაიამ მთავარ ექიმ სოფიო იმედაშვილთან და დამხმარე მედ-პერსონალთან ერთად. აქციის ფარგლებში მოსახლეობამ უფასო კონსულტაციებითაც ისარგებლა.

სოფელი ძალდატანებით

წესელებისაგან ხშირად გაიგონებ: ჩვენი სოფელი იმდენი ხნისაა, რამდენისაც ქართველი კაცი. ვინც ქვეყნის და რაჭის ისტორია იცის (არადა ყველამ უნდა იცოდეს) მათ ვერ შეედავები, რადგან კუთხისა და სოფლის ისტორია მართლაც მჭიდროდაა ერთმანეთზე გადამბული.

მადლობა უფალს, რომ ამ ისტორიულ სოფლის ავტორიტეტს, მის სულიერ და კულტურულ ფასეულობებს, ტექნოლოგიების ბუმის ეპოქაშიც კი, კვლავინდებურად უფრთხილდებიან, ეფერებიან და ახალ სიცოცხლეს სძენენ აქ მაცხოვრებელი 32 გვარის შთამომავალნი.

დასტურად ბოლო პერიოდიდან მხოლოდ ორ მაგალითს ვთავაზობთ მკითხველს. პირველი უფროსი თაობისა და წარსულისადმი პატივისცემის ნიმუშია. მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით ჩვენებურები მე–2 მსოფლიო ომში დაღუპულ 100-ზე მეტ თანასოფლელთა ხსოვნას ყოველთვის გამორჩეულად მიაგებენ პატივს და ამიტომაც შეავლეს ხელი შინ მოუსვლელთა და სოფლის ისტორიის ამსახველ სტენდებს.

მეორე – განათლების, წიგნიერების, პატივისცემის დასტურია. მუნიციპალიტეტში 29 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. მათ შორის უძველესია წესის სასოფლო ბიბლიოთეკა 1552 წიგნადი ფონდით. წიგნის ფასი, მისი დანიშნულება აქაურთ არ ესწავლებათ. ეს ხომ, ის სოფელია რომელსაც საკუთარი სტამბა ჰქონდა, სადაც 1809 წელს დაიბეჭდა, საღმრთო წიგნი „სავედრებელი ღვთისმშობლისა“. ამიტომ რჩებიან წიგნის ერთგულნი წესელები. საბედნიეროდ ინტელექტუალნიც მრავლად გვყვანან. რომელთაგან ფონდის „აფხაზინტერკონტი“ ხელმძღვანელის **არჩილ ელბაქიძის** თანადგომამ გახადა შესაძლებელი ამ ორი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება. მემორიალსაც და ბიბლიოთეკასაც ნამდვილად სჭირდებოდა შეკეთება და მოუხდა კიდეც კოსმეტიკა.

„აფხაზინტერკონტთან“ თანამშრომლობით ამ აუცილებელ და კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ორგანიზაცია „სპექტრმა“ და ახალგაზრდა იურისტთა საზოგადოებამ, რომლის წარმომადგენლებმა მარიკა ვაჭარაძემ და ქეთინო ბერძენიშვილმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს ავტორთა სხვადასხვა ჟანრის 100-ზე მეტი წიგნი, რაც ნამდვილად საჭირო იყო და დიდი შენამატია წიგნადი ფონდისათვის.

მოსახლეობა მადლიერია და თავს უფლებას ვაძლევ მათი სახელით ვუთხრა მადლობა მათ და ვუსურვო წარმატებები კუთხისათვის სასიკეთო საქმეების კეთებაში.

გვანცა კანთელაძე,
სოფ წესი

სპორტი

გიხარიოდეთ!



ეს ბიჭები ერთი სოფლიდან – წესიდან არიან. ბავშვობისა და საჭიდაო დარბაზიდანაც მეგობრებმა, კლუბის „ფალავანი“ აღზრდილებმა, ახლახანს დიდი სიხარული განაცდევინეს გულშემატკივრებს.

გიორგი ელბაქიძე ბულგარეთში (პლოვდივი) თავისუფალ ჭიდაობაში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი დაგვიბრუნდა.

ვლადიმერ გამყრელიძე კი ბუდაპეშტში გამართული ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. ლადოს მედალი გულშემატკივრებისათვის ოქროს ტოლფასია, რადგან მან წონითი კატეგორია შეიცვალა. ამჯერად მკლავი 79 კილოგრამწონით კატეგორიაში მოსინჯა და პირველივე ცდა მედლით დააგვირგვინა.

ამბროლაურის სახელით მოასპარეზე მეგობრებმა ამ შედეგებით არამარტო სამშობლო არამედ კუთხე – რაჭაც წარმოაჩინეს.

გილოცავთ და გვეამაყებით ბიჭებო!

ჭადრაკი

სასიამოვნოა, რომ როგორც სამხარეო ისე ადგილობრივი ხელისუფლება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, მათი სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართვისათვის მასშტაბურ ღონისძიებებს ახორციელებენ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მათ სამსახურშია სასპორტო სკოლა, სადაც 7 სპორტული წრე მუშაობს, კლუბი „ფალავანი“ ოთხი ასაკობრივი ჯგუფით, საცურაო აუზი, სოფლებში სპორტული მოედნები, ტრენაჟორები...

შესაბამისად შედეგებითაც წარმოჩენილნიც გვყვანან. სატელევიზიო ეთერიდანაც უფრო დაუფრო ხშირად გვესმის ჩვენებურთა სახელები, ძირითადად მოჭიდავეებისა და კარატისტების, მაგრამ ისეა მომზადებული ნიადაგი რომ სპორტის სხვა სახეობებშიც გვეყოლებიან წარმატებულნი. ამ შემთხვევაში მხედველობაში სპორტის ისეთი სახეობა მაქვს, როგორიცაა ჭადრაკი. რეგიონის მასშტაბით სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი ჭადრაკისადმი.

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ საქართველოს პირველობაზე 1400 რეიტინგის მქონე 70 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. შედეგით კმაყოფილნი ვართ. ამბროლაურის სახელით მოასპარეზე **თორნიკე გოგსაძემ** ჩემპიონატზე მე-4 ადგილი დაიკავა, რაც სერიოზული მიღწევაა და ამავდროულად წინაპირობა იმისა, რომ ჩვენი რეგიონის მოჭადრაკეები ანგარიშგასაწევი იქნებიან მომდევნო საჭადრაკო შეჯიბრებებზე.

მ. ცხვედიანი,
ჭადრაკის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი

თოჯინები სტუმრად ბავშვებთან

მუნიციპალიტეტის მთიანი ზონის სოფლების მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ისედაც იშვიათობა იყო ადგილზე სხვადასხვა კოლექტივების მიერ გამართული კულტურული თუ სადღესასწაულო ღონისძიებების ხილვა. ეპიდემიამ ამ მხრივ კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. თუმცა იმედის სხივი გამოჩნდა. ვითარება გაუმჯობესდა, რიგი შეზღუდვები მოიხსნა და კარგი ინიციატივის ავტორებიც ვიხილეთ.

ურავის სასკოლო დარბაზში, ამბროლაურის კულტურის ცენტრის ინიციატივით, ლიხეთის თემში მცხოვრები ბავშვებისათვის ნაჩვენები იქნა გელა ისიანის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლი გერნეტის „ბატის ჭუკი“. თოჯინების თეატრის სტუმრობამ, რომელშიც გელა ისიანთან ერთად მსახიობები ნანუკა ისიანი და დავით დაუშვილი იღებდნენ მონაწილეობას, დასამახსოვრებელი წუთები აჩუქა არა მარტო ბავშვებს. ასეთი გასვლითი სანახაობები მოენატრა უფროსი თაობის წარმომადგენლებსაც და კარგია, რომ კულტურის ცენტრის ინიციატივით კიდევ არა ერთი საინტერესო ღონისძიება იგეგმება, რომლებსაც მაყურებელი ეტაპობრივად იხილავს.

კორონავირუსის ეპიდემიის ვითარებაში რეკომენდაციების პირობებში გამოვლილ ადამიანებს და განსაკუთრებით ბავშვებს ნამდვილად სჭირდებათ ასეთი სპექტაკლების ხილვა.

ხანმოკლეა წუთისოფელი

მართლმადიდებლურმა სამყარომ 24 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. 25 აპრილს კი ტრადიციულად აღინიშნა მიცვალებულთა ხსოვნის დღე. დღე, როდესაც ხდება სასაფლაოების კურთხევა და აღევლინება ყველა ის რიტუალი, რაც გარდაცვალებულთა სულის ცხონებისათვის არის საჭირო. მოქალაქეები ამ დღეს ძირითადად საფლავებზე გადიან და შესაბამისად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ წესრიგში მოიყვანა სასაფლაოებამდე მისასვლელი გზების ის მონაკვეთები, რომლებიც დაზიანდა ზამთარსა და მარტში მოსული ნალექის მიზეზით.

წლევანდელი ხსოვნის დღე, რომელსაც საფლავების კურთხევის დღეთაც მოიხსენიებენ, ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, რადგან ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ კორექტივები ადამიანთა ცხოვრებაში ამ კუთხითაც შეიტანა და ორი წელიწადი ახლობელთა საფლავებზე გასვლა ვერ ხერხდებოდა.

სამწუხაროა, რომ გასულ წელს ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 232 ადამიანით შემცირდა. აქედან 83 კოვიდს ემსხვერპლა. მათ შორის სამი შვილის დედა **თამარ კობახიძე, ციცო გოგლიძე, ვახტანგ ლორთქიფანიძე, ბესარიონ გოცირიძე, ბესო ბედენაშვილი,** დედა-შვილი **ვენერა** და **ამირან ხიდურლები**. **თემურ ცხვედიანი, ტურფა დონაძე, გოგი ჯინჭარაძე, შოთა რატიანი**...

სხვადასხვა დაავადებათა მიზეზით გამოგვაკლდნენ – **ცირა ტაბუცაძე, ნელი თავიდაშვილი, როზა ქოქოსაძე, ბადრი მურუსიძე, გელა თომაძე, დადაში გორგასლიძე, დემნა ხვედელიძე, ბუდუ აბაიშვილი, ომარ კობახიძე, თემურ რატიანი, მამია კიკვაძე**... ბევრნი არიან, კვალი რომ დაამჩნიეს რაიონს, გული რომ დასწყვიტეს იმიერ ქვეყანაში გადასახლებით ახლობლებს, სამეგობროს, თანამშრომლებს.

შევსთხოვთ უფალს მარადიულ სასუფეველში დაუმკვიდროთ მათ ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ამავდროულად შევახსენებთ ჩვენებურებს: მიუხედავად ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებისა, ინფიცირების მაჩვენებელის სტაბილურობისა და რიგი შეზღუდვების მოხსნისა „ომიკრონი“ მაინც არსებობს და საჭიროა სიფრთხილე, რადგან ინფიცირების რისკი არსებობს. ე.ი. ნიღაბზე უარის თქმა ნაადრევია. ისედაც ხანმოკლეა წუთისოფელი და გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს.

ლუკა კბილაძე

14 წლის ასაკში ტრაგიკული აღსასრულით სოფლის, ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის, მთელი მუნიციპალიტეტის დიდი ტკივილი.

სული კივისო – დაიწერა სოციალურ ქსელში. მართლაც, რომ კივის. სიცოცხლით სავსე პერსპექტიული სპორტსმენი, თანაკლასელების, საკმაოდ მრავალრიცხოვანი თანატოლი სამეგობროსთვის ერთგული და მისაბაძი ბიჭი, რას იფიქრებდა გაზაფხულისთვის უჩვეულო გარემოში ამ ფოტოს გადაღებისას, რომ სულ მალე შეწყდებოდა მისი გულის ფეთქვა. დაბნეულმა თანაკლასელებმა აღარ იციან რას დაარქვან მისი სახელი, სპორტულ შეჯიბრებებსაც კი მის ხსოვნას უძღვნიან, კიდევ ძნელია ანუგეშო მშობლები, ახლობლები...

ლუკა, ნუთუ წუთისოფლის სიმძიმეს გაასწარი, იქნებ შეიძლებოდა ბედისწერის შეცვლა და ამ საშინელების თავიდან აცილება? ალბათ, არა. შენ, მარადისობაში 14 წლის ბიჭად გადასახლებული, ჩვენთვის ისევ პატარა ბიჭად რჩები.

ნათელი შენს სულს იმიერ ქვეყანაში უმანკო ანგელოზო!

ღმერთო, გადაატანინე ოჯახს ეს დიდი მწუხარება!

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.